ბრძანება:**ბ32.32212426**

თარიღი:**30/08/2021**

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე" პუნქტის, 61-ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა" პუნქტის საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე" № 385 ბრძანებისა შესაბამისად და ასევე საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტრული ერთეულის ხელმძღვანელის 2021 წლის 30 აგვისტოს მოხსენებითი ბარათის (# 04 - 3221242144) საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა თანდართული დოკუმენტის შესაბამისად.

2. პრიორიტეტების დოკუმენტის და ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შინაარსის ან/და დაფინანსების მოცულობის მნიშვნელოვანი ცვლილების, მათ შორის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პირველადი ვარიანტის შემუშავებიდან ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებამდე ან მას შემდგომ (მაგ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფისას), პრიორიტეტების დოკუმენტით განსაზღვრული შემოსულობების ზემოთ დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზების შემთხვევაში თანხები ასახული იქნას განახლებულ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაში.

3. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა 2021/2022 საბიუჯეტო წელს უზრუნველყოს საშუალოვადიან სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის პროექტის მომზადება.

4. დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული მხარისათვის ოფიციალური გაცნობა ოფიციალურად გაცნობად ჩაითვალოს მხარისათვის წინამდებარე ბრძანების ელექტრონული ფორმით, საქმისწარმოების სისტემის საშუალებით მიწოდება.

5. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ბატონ როინ დეკანოიძეს.

6.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან–საბას №113), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან

ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

ზაური ტაბატაძე

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი